MES 5 20 00365325

07/05/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 23 და 29 აპრილს**. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომას ჩართვოდა ონლაინ.

Topic: **vet.authorization**
JoingZoomMeeting
https://us04web.zoom.us/j/665774354?pwd=RE9Pd20xb2g2R2J5dkcvbDhKYUQ4dz09
Zoom Meeting
ID: 451530

23 აპრილს საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“ კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი**, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოს მდივანი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე
ნოდარ მამინაიშვილი - არაფორმალური განათლების ახალგაზრდული ცენტრი „მზიანი სახლი“ გამგეობის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
კახაბერ ერაძე - ცენტრის დირექტორის მოადგილე
ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტთა კორპუსის მართვის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისმონიტორინგის კოორდინატორი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

იურიდიული პირების წარმომადგენლები:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაკა ბერიძე - რექტორი,
ნინო მილაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,
ცისკარა ზარანდია - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე,

შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ელიტი“

ედიშერ კუტალია - კოლეჯის იურისტი

ექსპერტები:

ნინო ხაჩიძე
ინგა ბოჭოიძე
ნათია ქაჯაია

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრის და კოლეჯების წარმომადგენელს. მან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და ჯანმრთელობა და სიმშვიდე უსურვა საბჭოს ყველა მონაწილეს და აღნიშნა, რომ ამ რთულ პერიოდში მათ ისევ ერთად უწევთ ონლაინ რეჟიმში მუშაობა, რათა არ შეაფერხონ მიმდინარე პროცესები, რასაც პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება ჰქვია.
თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ასევე გაკეთდა განცხადება იმასთან დაკავშირებთ, რომ სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო- და ვიდეოგადაღება კი აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან და გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლელო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2.სააპელაციო საბჭოს 2019 წლის 8 ნოემბრის N27 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტის“ ავტორიზაციის საკითხის ხელახლა განხილვა;
3. სსიპ კოლეჯი „სპექტრისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯი „სპექტრისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ დაუყენებიათ.

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ **სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის** წარმომადგენლებ ს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფმა, კერძოდ, ნინო ხაჩიძემ (ჯგუფის ხელმძღვანელი) და ინგა ბოჭოიძემ.
როგორც ექსპერტთა ჯგუფმა განმარტა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 6 დეკემბრის N1179 ბრძანების საფუძველზე, მათ 2019 წლის 24 - 25 დეკემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების მიზნით სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირობების, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით და ორი დღის განმავლობაში შემოწმდა სრული დოკუმენტაცია, როგორც მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან, ისე პროგრამებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა საავტორიზაციო განაცხადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის და მასთან ერთად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით.

დაწესებულებას განაცხადით წარმოდგენილი ჰქონდა ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა, ასევე, განაცხადში მითითებული იყო მასაჟისტ-რეაბილიტატორისა და პრაქტიკოსი ექთნის მილევადი პროგრამები.

მან ისაუბრა ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილ ხარვეზებზე, კერძოდ:

1.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ერთ პროფესიულ სტუდენტს, რომლის განათლების დოკუმენტი 1994 წელს გაცემულია რუსეთის ფედერაციის მიერ, არ აქვს წარმოდგენილი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი. შესაბამისად, დაწესებულებას კანონმდებლობისა და საკუთარი რეგულაციის დარღვევით აქვს განხორციელებული ჩარიცხვის პროცედურა.

2.5 ქვესტანდარტთან დაკავშირებით. დოკუმენტბრუნვა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით. აღნიშნული წესით ირკვევა. რომ ხელმოწერილი ბრძანებები რეგისტრირდება ინდექსის მიხედვით სააღრიცხვო ჟურნალში. დაწესებულების მიერ წარმოებული სააღრიცხვო ჟურნალები არ არის ინდექსირებული, ზონარგაყრილი, დანომრილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ, რითაც არაა დაცული დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაცია. როგორც ექსპერტმა განმარტა, ბრძანებების შემუშავება ხდება პროგრამაში Microsoft Word, შემდეგ ამოიბეჭდება, და ხდება მისი გატარება, დანომრვა და შემდეგ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული ბრძანების ატვირთვა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სიტემაში ი-ფლოუ, რომელიც დოკუმენტს ანიჭებს შესაბამის ნომერს. შესაბამისად, რეკომენდაცია იყო პირდაპირ ი-ფლოუში მომზადებულიყო შესაბამისი დოკუმენტაცია და არა გამზადებული სახით ატვირთულიყო ელექტრონულ სისტემაში - ი-ფლოუ.

3.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა მოდულის განმახორციელებლებთან გაფორმებული პირობითი და შრომითი ხელშეკრულებები, ხელშკრულებებში არაა ასახული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები. კერძოდ: სამუშაო დრო და დასვენების დრო; ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულებების მიცემი წესი;

დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცა ასევე, რეკომენდაციები:

1.1 ქვესტანდარტი. პროგრამის მე-7 ნაწილში „სტრუქტურა და მოდულები“ წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც მოიცავს მოდულებს კრედიტებითა და დაშვების წინაპირობებით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტი დაშვების წინაპირობებზე ინფორმაციას არ მოიცავს. ამასთან, უცხოური ენის მოდული დაშვების წინაპირობას არ ითვალისწინებს, როდესაც აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-7 ნაწილი უცხოური ენის მოდულის დაშვების წინაპირობად მიუთითებს საბაზო განათლებას. შესაბამისად, სასურველია, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ცხრილი ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად იყოს წარმოდგენილი.

პროგრამის მე-9 ნაწილი „სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტების მინიჭება“ არ მოიცავს ინფორმაციას 8 საკვანძო კომპეტენციაზე. სასურველია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად ფორმულირდეს პროგრამის შესაბამისი ნაწილი და მოიცვას ინფორმაცია 8 საკვანძო კომპეტენციაზე.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოდული „ქართული ენა B1” მოდულზე დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს მხოლოდ მოდულს „ქართული ენა A2“, მოდულის სტანდარტული ჩანაწერები თითოეულ სწავლის შედეგზე მოიცავს ინფორმაციას კრედიტების შესახებ და არ მოიცავს ინფორმაციას მოდულის ცვლილების თარიღის შესახებ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებით დამტკიცებული ქართული ენის მოდული დაშვების წინაპირობად ითვალისწინებს საბაზო განათლებას, მოიცავს ინფორმაციას ცვლილების თარიღის შესახებ და არ მოიცავს თითოეულ სწავლის შედეგისთვის გათვალისწინებულ კრედიტებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ მოდული შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ცენტრის დირექტორის ბრძანებასთან. სასურველია მოდულები „ქართული ენა A2” და „ქართული ენა B1” შემუშავდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებით დამტკიცებულ ქართული ენის მოდულების შესაბამისად და მოიცვას დამხმარე ჩანაწერებიდან ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივი, მოდულის განხორციელების მიდგომები, მტკიცებულებების შეგროვების მიდგომები, შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები. დაწესებულებამ მოდულები შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ცენტრის დირექტორის ბრძანებასთან. პროგრამის მატერიალური რესურსის დანართით ირკვევა, რომ დემონსტრირების ციფრულ საშუალებად წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტორი. ვიზიტისას, სასწავლო გარემოს დათვალიერებისას, დემონსტრირების ციფრულ საშუალებად წარმოდგენილი იყო მონიტორი. შესაბამისად, დაწესებულებამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს სასწავლო გარემო მატერიალური რესურსების დანართის შესაბამისად, ან მატერიალური რესურსების დანართის ადაპტირება უზრუნველყოს სასწავლო გარემოს შესაბამისად.

შემდეგი ექპერტების რეკომენდაციები ეხებოდა პროფესიულ სტუდენტსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ დოკუმეტებს, კერძოდ:

1.4 ქვესტანდარტი. პროფესიულ სტუდენტთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტების მიმართებით გაიცა რეკომენდაციები. კერძოდ: სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი იყოს, თუ რა შემთხვევაშია, ან ვინ არის ვალდებული წარმოადგინოს წვევამდელის მიწერის მოწმობა, რადგან აღნიშნული მოწმობის წარმოდგენა ყველასთვის სავალდებულო ვერ იქნება. გაიწეროს, რა შემთხვევაში დგება სწავლის შედეგების მიუღწევლობის ფაქტი, რაც ხდება პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და პროგრამის განმახორციელებელი პირების მარეგულირებელ წესში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა მოცემული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს ეს ორი რეგულაცია. სასურველია კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და პროგრამის განმახორციელებელი პირების მარეგულირებელ წესში ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს, რადგან სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ამბობს, რომ კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი, პროფესიული სავალდებულო და პროგრამით გათვალისწინებული ყველა არჩევითი მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პირების მარეგულირებელ წესში საუბარია, რომ კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები. მარეგულირებელი დოკუმენტით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტის დატვირთვიდან პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. შესაბამისად, სასურველია რეგულაციები შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო

სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და არ იყოს გამოყენებული პროფესიული სტანდარტის თავისებურებები.
სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში პროფესიული განათლებისთვის შესაბამისი ტერმინები იქნას გამოყენებული. სასურველია დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გამოყენებული იყოს პროფესიული განათლებისთვის შესაბამისი ტერმინები. მაგალითად, პროფესიულ სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ვერ მიენიჭება აკადემიური ხარისხი, როგორც ეს ხელშეკრულებაშია გაწერილი. ასევე, პროფესიული სტუდენტები არ გადიან აკადემიურ რეგისტრაციას.
სასურველია პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებები სრულად მოიცავდეს ინფორმაციას სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლების შესახებ და არ იყოს ისინი ნაწილობრივ წარმოდგენილი ხელშეკრულებაში. პროგრამის განმახორციელებელი პირების მარეგულირებელ წესში საუბარია, რომ შეფასების უწყისები ინახება არქივში მუდმივად. არქივის დებულებაში საუბარია, რომ უწყისები ინახება 5 წელი. გასაუბრებით ირკვევა, რომ უწყისები უნდა ინახებოდეს 10 წელი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ მარეგულირებელი დოკუმენტები ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს.
2.5 ქვესტანდარტი. კანცელარია ახდენს სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ბრძანებების ხელით გატარებას სააღრიცხვო ჟურნალში და უკვე დასრულებული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანის შემდეგ მის ატვირთვას ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ნებისმიერი სახის ბრძანებების შემუშავება მოხდეს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, რომელიც ავტომატურად მიანიჭებს სარეგისტრაციო ნომერს და არ მოხდეს მისი ატვირთვა გაელექტრონულების შემდეგ.
2.7 ქვესტანდარტი. სასურველია სველი წერტილი მოეწყოს შენობაში ისე, რომ სტუდენტს არ მოუწიოს შენობის გარეთ გასვლა. ასევე, სასურველია საკვანძებში სახელურები, ხელსაბანი განთავსდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.
2.9 ქვესტანდარტი. სტრატეგიულ მიმართულება - რესურსებში ცალკე გაიწეროს პროფესიული განათლების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები. მათ შორის, მატერიალური რესურსების და პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ღონისძიებები.
სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის გაძლიერების შესახებ სტრატეგიულ მიზანში აისახოს პროფესიული სტუდენტის მხარდამჭერი აქტივობები.
სამოქმედო გეგმა არ იძლევა გაზომვად, კონკრეტულ, მიღწევადი მიზნების შესაბამის ინდიკატორებსა და ინფორმაციის წყაროებს, რომელიც დაწესებულებას მისცემს შესაძლებლობას დაინახოს პროგრესი. მაგალითად, ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენს „პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება“, ინდიკატორად კი გაწერილია „ამოქმედებული პროფესიული პროგრამების რაოდენობა“. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს სამიზნე ნიშნული, შესაბამისად, ვერ იქნება გაზომვადი შესაბამისი აქტივობის შესრულება.
3.1 ქვესტანდარტი. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების წარმომადგენელთა შერჩევა ხდება კონკურსის გზით, თუმცა დაწესებულების მიერ არ არის გაწერილი, თუ როგორ ხდება სხვა თანამშრომელთა შერჩევა, ან მათი პირადი საქმისწარმოება (რა დოკუმენტაციის წარმოდგენაა მათთვის სავალდებულო). შესაბამისად, მიზანშეწონილია გაიწეროს თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები დასაკავებელ თანამდებობათა შესაბამისად.
3.3 ქვესტანდარტი. მიზანშეწონილია მოდულის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავდნენ მოდულთა დასახელებას და ხელშეკრულება გაფორმდეს არა მოწვეულ სპეციალისტთან, არამედ პროფესიული განათლების მასწავლებელთან.
აგრეთვე ექსპერტის მხრიდან აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელები უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.
უნივერსიტეტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს სასწავლო სივრცეში, რომელიც მხოლოდ პროფესიული სწავლებისთვის გამოიყენება. საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელებაში, ჩართული არ არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, არ იქმნება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს დეტალური და ამომწურავი პრეზენტაციისათვის.
საბჭოზე მოუსმინეს დაწესებულების წარმომადგენელს, უნივერსიტეტის **რექტორ მაკა ბერიძეს,** რომელმაც, პირველ რიგში, დააფიქსირა უნივერსიტეტის ზოგადი პოზიცია პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ, პირველ რიგში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაშია ხაზგასმული ძალიან მკაფიოდ, რომ მათ მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული და უმაღლესი განათლების თანაარსებობის გზით წარმოუდგენიათ არსებობა და მათი მისიის სრულყოფილად შესრულება. აქვთ კარგად გაწერილი სტრატეგიული გეგმა და მისია. რაც შეეხება საკითხს, უკეთესი იქნებოდა გამოჩენილიყო სამიზნე ნიშნულები, მან თქვა, რომ უნივერსიტეტს აქვს ორი კორპუსი: ახალციხესა და ახალქალაქში და ამას მიიჩნევენ უნივერსიტეტის ძალიან დიდ უპირატესობად. ჩამოყალიბებული აქვთ პროფესიული განათლების მთელი კონცეფცია. ახალქალაქში იქმნება პროფესიული განათლების ცენტრი, თავისი სტრუქტურული ერთეულებით; ადამიანებით, რომლებიც მხოლოდ პროფესიულ განათლებას მოემსახურებიან. უკვე მომზადებული, წარდგენილი და სატენდეროდ გაგზავნილია პროექტი სამინისტროში, რომელიც ახალქალაქის კორპუსის რეაბილიტაციას მოემსახურება მხოლოდ პროფესიული კუთხით. ახალქალაქში აქვთ კიდევ ერთი უპირატესობა, 200 სტუდენტზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სტუდენტთა საცხოვრებელი.
დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქსირა თავისი პოზიცია ხარვეზებთან დაკავშირებით, კერძოდ:
პირველ ხარვეზთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სტუდენტთა ჩარიცხვისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საკითხს, აღნიშნა, რომ ასეთი ფაქტები მასიურად არ ხდება მათთან. უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი კარგი გამოცდილება. 60 სტუდენტი არის ჩარიცხული რეგულაციის გზით. მათ რეგულაციაში კი ცალსახად წერია, რომ საზღვარგარეთ დამთავრებულს უნდა მოეთხოვოს უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი. თვითონ უნივერსიტეტი უწევდა ორგანიზებას ამ საკითხს და პირადად თვითინაც იყო ჩართული ამ პროცესში. დირექტორის თქმით, უნივერსიტეტის წარმომადგნელებს, თავად ჩაჰქონდათ ცენტრში დოკუმენტები განათლების აღიარების მიზნით. კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, რაზეც იყო საუბარი, დეტალურად განიხილეს, თუ როგორ მოხდა. ამ შემთხვევაში პირს განათლება ახალციხეში ჰქონდა მიღებული, თუმცა, რუსულ სამხედრო სკოლაში და ატესტატი გაცემულია ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე და ამან გამოიწვია გაუგებრობა. დაწესებულებამ ცალსახად შეცვალა და სრულად იქნა რეგულაციაში ჩაწერილი, რომ დიპლომი, რომელიც გაცემულია უცხო სახელმწიფოს მიერ, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე, აღიარებული უნდა იყოს, რაც გამორიცხავს რაიმე პრობლემას სამომავლოდ. მათ მოიძიეს სკოლის დირექტორისგან დოკუმენტები და ხარისხის ცენტრსაც მიმართეს, მაგრამ ცენტრიდან მიღებულ დასკვნაში ეწერა, რომ ცენტრმა ვერ მოიძია დოკუმენტაცია, და მზადაა დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში განმეორებით განიხილოს საკითხი. რაც შეეხება საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ხარვეზს, მან აღნიშნა, რომ სამინისტროშიც ყველა ხელით დაბეჭდილ ბრძანებას ტვირთავდა ი-ფლოუში, მათ შორის, ცენტრიც. მათ უნივერსიტეტშიც ასე ხდებოდა. ჟურნალებში ეს ინდექსირებულია,

მხოლოდ ზონარი არ არის გაყრილი. უნივერსიტეტს აქვს გაწერილი თავისი საქმისწარმოების წესი და ამ წესის მიხედვით, დოკუმენტაცია, რომელიც იწერება და იტვირთება ი-ფლოუში, შეიძლება ჟურნალში არ იყოს გატარებული. მაგალითად, საბჭოს ხდომები და გადაწყვეტილებები, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებები არ იტვირთება ი-ფლოუში. რაც ი-ფლოუში იტვირთება, ჟურნალში ტარდება, მაგრამ არა ზონარგაყრილში. ზონარგაყრილი ჟურნალი აქვთ მხოლოდ ფაკულტეტზე. ბრძანებები კი, რომლებიც ატვირთულია ი-ფლოუში, არ არის ზონარგაყრილ ჟურნალში რეგისტრირებული. რაც შეეხება შრომით ხელშეკრულებებში არსებით პირობებს, შვიდივე თანამშრომელი არის უნივერსიტეტის თანამშრომელი და უნივერსიტეტს აქვს მათთან ხელშეკრულება დადებული. ეს იყო ფაქტობრივი გარემოებები, არცერთ მათგანს შვებულების გარემოება არ წარმოექმნებოდათ, რადგან ორი თვე არის პროგრამა და ვერ ისარგებლებდნენ შვებულებით, შესაბამისად უნივერსიტეტს არ ჰქონდა ჩაწერილი ხელშეკრულებაში ეს პირობა. მაგრამ ახლა უკვე გაიწერა არსებითი პირობები ხელშეკრულებებში. ტერმინოლოგია გასწორებულია. პროგრამის განმახორციელებლების და ადმინისტრაციის შერჩევის კრიტერიუმს რაც შეეხება, უნივერსიტეტი მათ ორი კრიტერიუმით არჩევს, ერთი, ეს არის არჩევითი და მეორე - კონკურსის წესი. ყველანი არიან ან არჩევით ან კონკურსის წესით თანამდებობებზე. ეს არის უნივერსიტეტის კადრების შერჩევის პრინციპი. ძირითადად ადმინიტრაციაში თანამშრომლები კონკურსის წესით არიან დანიშნული. მატერიალურ საკითხს რაც შეეხება, 3 მილიონიანი ბიუჯეტის ფარგლებში, იმისათვის, რომ უნივერსიტეტს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაეუმჯობესებინა, თუ სადმე რამის მიშენება ან ყიდვა შეიძლებოდა, შეძენილია. შესასვლელი ერთ სველ წერტილს იმიტომ აქვს გარედან, რომ ტენდერის ჩავარდნის გამო, ლიფტი ვერ დაყენდა. სველი წერტილის გარეშე დარჩენას, ერჩივნათ გარედან შესასვლელი ყოფილიყო. ამჟამად ეს საკითხიც მოწესრიგებულია, ლიფტი დამონტაჟებულია.

საბჭოს წევრების მხრიდან იყო კითხვები დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემა ი-ფლოუსთან დაკავშირებით. მათ კიდევ ერთხელ მოისმინეს ექსპერტის და დაწესებულების პოზიცია ამასთან დაკავშირებით. ექსპერტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი 2015 წლიდან მუშაობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში -ი-ფლოუ. თუმცა, საქმისწარმოების წესში მათ გაწერილი აქვთ, რომ ხელმოწერილი ბრძანებები რეგისტრირდება ჟურნალებში, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი და ა. შ. თუ ჟურნალების წარმოება ხდება, მაშინ არ უნდა იყოს ამ ფორმით წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენლის პასუხი ამასთან დაკავშირებით იყო, რომ ვერ ეთანხმება ამ პოზიციას, რადგან დღემდე სამინისტროდან მიღებული ბრძანებებიც ასეა მომზადებული და შემდეგ ატვირთული. ამ ეტაპზე ასე ხდება. სამომავლოდ ალბათ ისინი შეცვლიან ამ წესს და დოკუმენტბრუნვა სრულად ი-ფლოუში გადაინაცვლებს.

ექსპერტმა ინგა ბოჭოიძემ დაამატა, რომ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს თანამშრომლობითი გარემო იყო. რაც შეეხება, მატერიალურ-ტექნიკურ რესურს, დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები და გათბობის საშუალებები. შენობას აქვს სასწავლო პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისი სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ბიბლიოთეკა, დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები. ასევე სასწავლო კორპუსში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას მათ ვიზიტამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე ჰქონდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტი. მათი მხრიდანაც ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაშიც იგივე რეკომენდაციები იქნა გაცემული. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა ნამდვილად პროფესიული განათლების განვითარება. ამ კონკრეტულ პროგრამაზე არანაირი გადაფარვა არ ხდება, არანაირი პრობლემა არ იქნება. ამ პროგრამაში აკადემიური პერსონალი არ არის ჩართული და სხვა სასწავლო სივრცეა ამისთვის გამოყოფილი.

დაწესებულების ხელმძღვანელმა მაკა ბერიძემ დაადასტურა, რომ უკვე აღმოფხვრილია ხელშეკრულებების ხარვეზი, საქმისწარმოებასთან დაკავშირებით კი ვერ ეთანხმება ექსპერტების მოსაზრებას.
საბჭოს ერთ-ერთი წევრის კითხვა იყო ექსპერტებთან, ჰქონდა თუ არა გააზრებული დაწესებულებას, რატომ აირჩია ეს პროგრამა და მეორე კითხვა რეგულაციებთან დაკავშირებით - არის თუ არა დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციები მკაფიოდ გამიზნული პროფესიულ განათლებაზე.
ექსპერტის პასუხი ამასთან დაკავშირებით იყო, რომ მიზანშეწონილობას რაც შეეხება, დაწესებულება საუბრობდა, რომ პროგრამა მოთხოვნადია და მოთხოვნა არის საკმაოდ დიდი. გამოკითხვაც აქვთ ჩატარებული, რის შედეგადაც გადაწყვიტეს ამ პროგრამის განხორციელება. ასევე გამოიკვეთა საუბრებიდან, რომ აპირებენ ახალქალაქში პროფესიული პროგრამების განხორციელებას. როდესაც შენობის რეაბილიტაცია დასრულდება, აპირებენ პროგრამების დამატებასაც.
დაწესებულების წარმომადგენელმაც დაადასტურა, რომ ნამდვილად აქვთ გამიჯნული რეგულაციები უმაღლესი განათლებისა და პროფესიული განათლებისათვის. მათ უნდოდათ პროფესიული მასწავლებელიც კი მოემზადებინათ, იმდენად მაღალია უნივერსიტეტის მზაობა. რაც შეეხება კითხვას, რა პროგრამები ექნებათ, ეს არის ვეტერინარიის პროგრამა, რაც უნდათ ახალქალაქში ჰქონდეთ. სოფლის მეურნეობის პროგრამა, სატყეო, ასევე საბაჟო საქმე, რძის პროდუქტების დამუშავება, მანქანის სავალი ნაწილის და ელექტროობის შეკეთება. ამ პროგრამებისთვის მიღებული აქვთ როგორც სივრცე და ასევე სახელმწიფო დაფინანსება 2,6 მილიონი ლარი. უკვე გამოცხადებულია შესაბამისი ტენდერი შენობის რეაბილიტაციისთვის. ასევე ამზადებენ ინტეგრირებულ პროგრამებს, თუმცა ჯერ ელოდებიან ავტორიზაციას და შემდეგ იფიქრებენ სამომავლოდ ამ პროგრამების დამატებაზე.
საბჭოს წევრებმა ისარგებლეს სათათბირო დროით, რის შემდეგაც საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ თუ საბჭო იმსჯელებდა ძველი დებულების მიხედვით, ორი სტანდარტის ხარვეზის შემთხვევაში, უარი უნდა ეთქვათ ავტორიზაციაზე. თუმცა, ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მიხედვით, დაწესებულების თანხმობის შემთხვევაში, შეიძლებოდა ხარვეზების გამოსასწორებლად დაწესებულებას მისცემოდა ვადა, 6 თვე, და მონიტორინგის გზით შემოწმდებოდა ხარვეზების აღმოფხრვრის საკითხი. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს იქნებოდა სრული მონიტორინგი განხორციელებული ახალი დებულების შესაბამისად და ფასიანი. თუ თანახმა იქნებოდნენ, საკითხს დააყენებდნენ კენჭისყრაზე. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ეს არის ერთადერთი ალტერნატივა, რაც საბჭოს შეუძლია შესთავაზოს დაწესებულებას, რადგან საბჭო ყოველთვის მიმართულია, დაინახოს სასწავლებელში განვითარების პოტენციალი, რაც აღნიშნული დაწესებულების შემთხვევაში თვალსაჩინოა. ექსპერტებიც ამას ადასტურებენ. საბჭოს ამ ეტაპზე თავისი უფლებამოსილების და კანონმდებლობის ფარგლებში სხვაგვარად მოქმედება არ შეუძლია.
დაწესებულებამ თანხმობა განაცხადა და აღნიშნა, რომ დაწესებულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამგვარ დამოკიდებულებას. ეს დიდი მოტივაცია და ამავდროულად პასუხისმგებლობაა მათთვის. ერთ-ერთი მიზეზი დათანხმებისა ისიც არის, რომ მათ უნდათ დაარწმუნონ საბჭო და ცენტრის წარმომადგენლები, რომ არ აპირებენ უარი თქვან პროფესიული განათლების მიმართულებით განვითარებაზე. ისინი ხედავენ თავის პოტენციალს, მისიას და ფიქრობენ, რომ საქართველოში უნივერსიტეტებს შეუძლიათ პროფესიული განათლების განვითარებაში წვლილის შეტანა.

სამჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს შეკითხვები, რის შემდეგაც კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების

მინიჭების შესახებ და აგრეთვე დააყენა შუამდგომლობა ცენტრთან, რათა საბჭოს სხდომიდან 6 თვის (29 ოქტომბრის) შემდეგ ცენტრმა განახორციელოს სრული მონიტორინგი დაწესებულებაში.
საბჭოზე დადასტურებული იქნა პროგრამის პარამეტრები:
ახალი პროგრამა, რომელიც შემოიტანა დაწესებულებამ განხორციელების უფლების მინიჭებისათვის ეს არის - ბუღალტრული აღრიცხვა, პროფესიული განათლების დონე - მეხუთე, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში. კოდი- 0111, კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 99, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 129, სწავლების ენა - ქართული, ადგილების ზღვრული რაოდენობა -15, განხორციელების ადგილი - ახალციხე, რუსთაველის ქ. N 122ა.
გადაწყვეტილების დანართში მიეთითება ასევე ორი პროგრამა, რომლებსაც მილევად პროცესში ახორციელებს დაწესებულება, ესენია: მასაჟისტ-რეაბილიტატორის და პრაქტიკოსი ექთნის პროგრამები. ის სტუდენტები, რომლების ჩარიცხულები არიან ამ პროგრამებზე, დაასრულებენ პროგრამებს და დაწესებულებას ამ პროგრამებზე მიღების უფლება აღარ ექნება.
ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით მიენიჭა ავტორიზაცია, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. ამის შემდეგ მას დღემდე არ ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება. უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების სტუდენტებს, ავტორიზაციის დღიდან შეუჩერდათ სტატუსი და იმისათვის, რომ სტუდენტების უფლებები იყოს დაცული, მან სთხოვა საბჭოს წევრებს თანხმობა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 20 თებერვლიდან, რაზეც საბჭოს წევრებმა თანხმობა განაცხადეს.

კენჭისყრა:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-60 მუხლის მეორე პუნქტის, 61-ე მუხლის, 45-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, **სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 424066977) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება (დანართი 1)**

2. სააპელაციო საბჭოს 2019 წლის 8 ნოემბრის N27 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტის“ ავტორიზაციის საკითხის ხელახლა განხილვა;

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ აცილება მოითხოვა იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულებაში თავის დროზე, როგორ ავტრიზაციის ექსპერტი, მონიტორინგში მონაწილეობდა და იმ მონიტორინგის საფუძველზე დაინიშნა შემდგომი მონიტორინგი, რისი შედეგებიც განიხილა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ და გაუუქმა დაწესებულებას ავტორიზაცია.
ნანი დალაქიშვილმა დაადასტურა, რომ ექსპერტის მხრიდან სწორი გადაწყვეტილებაა აცილება, რადგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის საფუძველზე, თუ ექსპერტი მონაწილეობდა მოცემული საკითხის წარმოებაში, მან აცილება

უნდა მისცეს ამ საკითხის განხილვას. საბჭომ თანხმობა განაცხადა ექსპერტის აცილებასთან დაკავშირებით.
ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა შეახსენა საბჭოს საკითხის ისტორია, კერძოდ, 2019 წლის სექტემბერში ავტორიზაციის საბჭომ განიხილა საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ელიტში" განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და გაუუქმა დაწესებულებას ავტორიზაცია. დაწესებულებამ დადგენილ ვადაში შეიტანა საჩივარი სააპელაციო საბჭოს სახელზე, სააპელაციო საბჭომ მიიღო და განიხილა საჩივარი 2019 წლის ნოემბერში და მიიღო გადაწყვეტილება, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის" ავტორიზაციის საკითხი ხელახლა განხილვისათვის დაბრუნებოდა ავტორიზაციის საბჭოს. რადგან ამ დროისთვის ავტორიზაციის ახალი საბჭო არ იყო შექმნილი, დაგვიანდა საკითხის განხილვა. საკითხის განხილვა დაგვიანდა ასევე Covid 19-ის მიერ გამოწვეული კრიზისი გამო და შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, საბჭოს სხდომები ონლაინ ფორმატში მუშაობის რეჟიმზე გადავიდა. დღეს საბჭო განიხილავს კიდევ ერთხელ შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „ელიტი" ავტორიზაციის საკითხს და იმსჯელებს განხორციელებული მონიტორინგის დასკვნის შედეგების შესახებ.

დაკვნა წარადგინა ექსპერტმა ნათია ქაჯაიამ, რომელიც ჯგუფის ხელმძღვანელი იყო. მან აღნიშნა, რომ ის ახორციელებდა ვიზიტს საზოგადოებრივ კოლეჯში ,,ელიტი" ჯგუფის წევრებთან ერთად. ვიზიტი ჩატარდა არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. მონიტორინგის საფუძველი იყო ცენტრის დირექტორის 2019 წლის 17 ივნისის ბრძანება N 489, რომლის საფუძველზე მათ დაევალათ ავტორიზაციის საკითხების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტი განხორციელდა ორ მისამართზე: 2019 წლის 26 და 27 ივნისს - ქალაქ ქუთაისში და 28 ივნისს - ქალაქ მარნეულში, ვინაიდან დაწესებულება ორ მისამართზე ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას. ვიზიტი შედგა დღის წესრიგის შესაბამისად, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით გადაეგზავნა დაწესებულებას და მასში გაწერილი საკითხები ექსპერტების მიერ ზედმიწევნით თანმიმდევრულად შემოწმდა, კერძოდ. ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ასევე დაწესებულების მატერიალური რესურსი და შედგა დასკვნა, რომლის საფუძველზეც იმსჯელა ავტორიზაციის საბჭომ. მან წარმოადგინა იგივე დასკვნა, რაც 2019 წლის ივნისის მონიტორინგის შედეგად იქნა შემუშავებული ექსპერტთა მიერ. წარმოადგინა ის ხარვეზები, რომელიც დაფიქსირდა დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის დროს. კერძოდ:
1.2 ქვესტანდარტი. საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი არ მოიცავდა ქვესტანდარტით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების შეფასების წესს, რაც ქვესტანდარტის მიხედვით სავალდებიულოა.
1.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით დაფიქსირდა შეუსაბამობა, კერძოდ, დარღვეული იყო არაფორმალური განათლების აღიარების პირობები და წესი, რომელიც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 8/ნ ბრძანებით იყო განსაზღვრული. ასევე მინისტრის N 121/ნ ბრძანება, რომელიც პროფესიული განათლების პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესს ადგენს. კერძოდ, 1.4. ქვესტანდარტის მოთხოვნა, მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებით, დარღვეული იყო. კერძოდ, არ განხორციელდა შეფასება პროფესიული განათლების კრედიტების გაანგარიშების წესის შესაბამისად და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველის მიერ თეორიულ კომპონენტში შემავალ საგნებში, როგორიცაა ინგლისური, ლათინური და მასაჟისტის პირველი მოდულის კითხვები, მიღებული უარყოფითი შეფასებების მიუხედავად, დაწესებულებამ უღიარა მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველი მოდულით გათვალისწინებული კრედიტები და დაუშვეს მეორე მოდულზე სტუდენტი. ასევე, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის 2019 წლის 15 იანვრის სხდომის ოქმის საფუძველზე, აღიარების მსურველ პირს უღიარეს პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილის პირველი მოდული, მასში გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების სწავლის შედეგების ფლობა სრულად და დაინტერესებულ პირს

მიენიჭა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და სწავლა გააგრძელა საგანმანათლებლო პროგრამის მეორე მოდულიდან.
1.3 ქვესტანდარტი. გამოვლინდა ხარვეზი შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, დამსაქმებლის მიერ დადებული ხელშეკრულება არ შეესაბამებოდა საქართველოს ორგანული კანონის, შრომის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობები: მუშაობის დაწყების თარიღი, სამუშაო დრო, დასვენების დრო, სამუშაო ადგილი, ანაზღაურება, შვებულება და ანაზღაურების გარეშე შვებულების რაოდენობა და ასევე შვებულების მიცემის წესი. აღნიშნული გარემოებები, მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად არის შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები.
ექსპერტებმა დასკვნას დაურთეს შესაბამისი მტკიცებულებები დანართის სახით, რომლებიც უტყუარად ადასტურებს ამ ხარვეზებს და წარადგინეს ცენტრში.
გარდა ამ სამი ხარვეზისა, მათ გასცეს ასევე გარკვეული რეკომენდაციები, დაწესებულებისთვის თითქმის ყველა სტანდარტთან დაკავშირებითკერძოდ, როგორც საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე მატერიალური და ადამიანური რესურსის ნაწილში.
საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში ექსპერტების რეკომენდაცია შეეხებოდა შემდეგ გარემოებებს:
1.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით - სასურველია, პროგრამის განმახორციელებელი პირები, პროფესიული განათლების მასწავლებლები საგანმანათლებლო პროგრამის პროცესში თავიდანვე იყვნენ ჩართული, რათა უფრო გააზრებულად და კონსტრუქციულად განხორციელდეს პროგრამის შმუშვების პროცესი, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში პროგრამის ეფექტურად განხორციელებას.
1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, აუცილებელია ქვესტანდარტის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგში შევიდეს ინფორმაცია შეფასების წესის შესახებ. ეს ხარვეზშიც იყო დაფიქსირებული და რეკომენდაციაშიც გაიწერა. მეორე რეკომენდაცია ამ ქვესტანდარტთან დაკავშირებით შემდეგი იყო, ვინაიდან კატალოგი სარეკლამო ხასიათისაა, სასურველია დამატებით მოიცავდეს პარტნიორი ორგანიზაციების, პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალს, ინფორმაციას სტუდენტების ჩარიცხვის წესის შესახებ, მოდულის განმახორციელებელი პირების შესახებ, წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ, ინფორმაცია სპეციალური საჭიროების მქონე პირების სწავლებასთან დაკავშირებით და სხვა. ასევე სასურველია კატალოგში განთავსდეს ინფორმაცია დაწესებულების რეალური ცხოვრებიდან მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ ფოტო-მასალით. სასურველია განისაზღვროს კატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელი პირი.
1.4 ქვესტანდარტთან მიმართებით. ვინაიდან დაწესებულების რეგულაციაში მითითებული იყო, რომ პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არ გააფორმებს ხელშეკრულებას კოლეჯთან სასწავლო წლის დაწყებამდე არასაპატიო მიზეზით, უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. დაკონკრეტდეს და განიმარტოს მარეგულირებელ აქტში, თუ რა იგულისხმება არასაპატიო მიზეზში, რათა პროფესიული სტუდენტისათვის გასაგები და ნათელი იყოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული გარემოება. მეორე რეკომენდაცია იყო, დაწესებულების დებულებაში გასწორდეს შემდეგი ბუნდოვანი ჩანაწერი - ,,იმ შემთხვევაში თუ პროფესიულ სტუდენტს სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მილევად რეჟიმში სწავლებას, ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე“.
შემდეგი რეკომენდაცია-დაწესებულების რეგულაცია ითვალისწინებს, რომ პროფესიული სტუდენტის მობილობის განსახორციელებლად შეიქმნას სპეციალური კომისია. კომისიაში სავალდებულოა შედიოდეს აღმასრულებელი მენეჯერი, თუმცა ასეთი სტრუქტურული ერთეული დაწესებულებაში არ იყო წარმოდგენილი და შესაბამისად, საშტატო განრიგშიც არ

იყო. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ან ამოღებულ იქნას კომისიის შემადგენლობიდან ეს პოზიცია ან ცვლილებები შევიდეს დაწესებულების მოქმედ საშტატო განრიგში და დაემატოს აღმასრულებელი მენეჯერის საშტატო ერთეული.

1.6 ქვესტანდარტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშაოს მრავალფეროვანი კითხვარები დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის მიზნით, გააფართოოს სამიზნე ჯგუფი და გარდა პროფესიული სტუდენტებისა, გამოკითხვა განხორციელდეს დამსაქმებლის, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლების, პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა წერილობითი ფორმით. ამასთან, ყოველწლიურად შეადგინოს დაწესებულებამ სამოქმედო გეგმა, მოამზადოს მისი შესრულების ანგარიშები და შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომლებიც გამყარებული იქნება დაწესებულების თვითშფასებაზე და მიმართული იქნება დაწესებულების სუსტი მხარეების გაუმჯობესებასა და განვითარებაზე. ამასთან, გამოკითხვის შედეგების მიხედვით მომზადებულიყო დაწესებულებაში ანგარიშები და სტატისტიკა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის გატარდეს სათანადო ღონისძიებები, გაიწეროს მათი სამუშაო აღწერილობები.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით შემდეგი რეკომენდაციები იქნა გაცემული, კერძოდ:

2.3 ქვესტანდარტი - სასურველია წარმოდგენილი ელექტრონული წიგნები, თითო ეგზემპლიარი არსებობდეს ბიბლიოთეკაში ბეჭდური სახით. ბიბლიოთეკარი და სხვა პერსონალი უნდა იცნობდეს ზედმიწევნით ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს და კოლეჯის მარეგულირებელ სხვა დოკუმენტებს.

2.5 ქვესტანდარტი - ვინაიდან მარეგულირებელ აქტებში არ არის განსაზღვრული თითოეულ მისამართზე საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთა შორის ფუნქციების გამიჯვნის, დელეგირების საკითხები, ქვესტანდარტის მოთხოვნიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშაოს და გაიწეროს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები უფრო დეტალურად ორივე მისამართზე. სასურველია სამუშაო აღწერილობების შემუშავება შესაბამისი პერსონალისთვის. გაიწეროს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცედურები ორივე მისამართზე დასაქმებული პირისათვის.

საბჭოს წინაშე დაწესებულების პოზიცია დაიცვა დაწესებულების დირექტორის ნდობით აღჭურვილმა პირმა **ედიშერ კუტალიამ,** მან დააფიქსირა პოზიცია იმ ხარვეზებთან დაკავშირებით, რაც საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ელიტს“ დაუდგინდა:

1.2. ქვესტანდარტთან დაკავშირებული ხარვეზის თაობაზე მან აღნიშნა, რომ უპირველეს ყოვლისა, კატალოგი ეს არის სარეკლამო ხასიათის შდოკუმენტი, რომელიც მოიცავს შესაბამის ინფორმაციას კონკრეტული ობიექტის წარმატებების შესახებ და ა.შ უნდა ითქვას, რომ ეს ხარვეზი, როგორც კი პირველად გადაეცა კოლეჯის დირექტორს, როგორც ხარვეზი, მაშინვე იქნა გამოსწორებული. დღესდღეობითაც ეს ხარვეზი გამოსწორებულია.

1.4 ქვესტანდარტი - არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით. მხოლოდ ექვს სტუდენტზეა საუბარი, რომელთაც მიმართეს კოლეჯს და მათთვის არაფორმალური განათლების აღიარების მიზნებისთვის იქნა შემუშავებული ტესტი, რომელიც მოიცავდა ინგლისურის, ლათინური ენების ტესტებს, ანუ ტესტში იყო ინტეგრირებული ორი სხვადასხვა საგანი. მოხდა შემდეგი: თითოეული კომპონენტი შეფასდა 100 პროცენტით, სტუდენტებმა აიღეს 51-51 პროცენტი თითოეული კომპონენტის ფარგლებში და საბოლოოდ, მიენიჭათ შესაბამისი ქულები. მაგრამ დღეის მდგომარეობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის N188/ნ ბრძანების მიხედვით გაუქმებულია არაფორმალური განათლების აღიარების იმ დროისთვის არსებული წესი.

ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარვეზთან დაკავშირებით, ბატონმა ედიშერმა საკუთარი პოზიცია გააჟღერა, რაც გულისხმობდა, რომ არ არის აუცილებელი ხელშეკრულებაში ასახული იყოს კონკრეტული ასპექტები, მუშაობის დაწყების დღე და ა.შ. კანონის პოზიტიური არსიდან თუ გამოვალთ, კანონი პირველ რიგში აღქმული უნდა იქნას პოზიტიურად. იგივე საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის შესაბამისად,

პირველი მუხლის, მესამე პუნქტში წერია, რომ დამსაქმებელი არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას, მან აღნიშნა, რომ ამით არ გაუარესებულა არც ერთი დასაქმებულის პირობები მათთან. ასევე მიუთითა მეექვსე მუხლი, როდესაც იდება შრომითი ხელშეკრულება, წერილობით იდება და გიდასტურებთ, რომ იყო შრომითი ხელშეკრულებები, და თუ რამე ხარვეზია და არ აუარესებს დასაქმებულის პირობებს, მაშინ მეშვიდე მუხლი მიგვითითებს, რომ შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივი მუშაობის დაწყების მომენტიდან. რასაკვირველია, შეიძლება პირობები ხელშეკრულებებში იყო ტექნიკურად გამორჩენილი, მაგრამ ამით ნეგატიური შედეგი არცერთ დასაქმებულს არ მიუღია. და თვითონ, როგორც ამ დაწესებულების წარმომადგენელი, ვერ გაიზიარებს და ამასთანავე, დაამატა რომ 2018 წელსვე დაიხვეწა ეს ყველაფერი და დღესდღეობით ეს ყველა საკითხი ასახულია მათ შრომით ხელშეკრულებაში, რომელიც კოლეჯის თანამშრომლებს აქვთ. იგივე შვებულების მიცემის წესი, დასვენების წესი და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარე ჩაეკითხა, ადასტურებს თუ არა დაწესებულების წარმომადგენელი, რომ ეს პირობები უნდა იყოს შრომით ხელშეკრულებაში, თუმცა, რაც არ იყო შრომით ხელშეკრულებებში, ამით დასაქმებულისათვის პირობები არ გაუარესებულა. ედიშერ კუტალიამ უპასუხა: 2018 წლამდე რამდენიმე ხელშეკრულება იყო, სადაც გამორჩენილი იყო პირობები. ტექნიკური შეცდომა იყო, ეს არ ყოფილა ძირეული შეცდომა. ამით არ გაუარესებულა არცერთი დასაქმებულის მდგომარეობა, პირიქით, ეს ადამიანები ბოლომდე აგრძელებდნენ ურთიერთობას კოლეჯთან და მას შემდეგ, რაც ახალი თანამშრომლები მიიღეს, 2018 წელსვე იქნა გამოსწორებული. ტექნიკური ხარვეზი იყო, მაგრამ ზიანი არავის მიდგომია. იყო მსჯელობა ექსპერტების მხრიდან ამ ტექნიკურ ხარვეზებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციაა, რომ ძირეული შეცდომა არ ყოფილა, ნებისმიერი ტექნიკური შეცდომა შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში. მისი აზრით, ეს შეცდომა არ იყო ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. ეს ხარვეზი აღმოფხვრილი იყო და დღესაც აღმოფხვრილია.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონტრარგუმენტებად წარმოდგენილი იყო შრომითი ხელშეკრულებები ისევ ხარვეზებით. რომ მეტი ყურადღებაა საჭირო ადმინისტრაციის მხრიდან, აქ არ იყო ერთ, ორ ან სამ ხელშეკრულებაზე, აქ მეტზე იყო ლაპარაკი. ნანა ყუფუნიამ აღნიშნა, რომ ესმის დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია, როცა ის განმარტავს ძირეულ შეცდომას, თუმცა იქნება ეს ,,ელიტი“ თუ ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია, როდესაც არის გადაცდომა, გადაცდომა უნდა გასწორდეს.

მან ასევე დაამატა, რომ მისი მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, საქართველოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ ხელშეკრულებებში არ არის ის პირობები ჩაწერილი, რასაც შრომის კოდექსი გვავალდებულებს, ძალიან ხშირად ბევრი დასაქმებული დამდგარა პრობლემის წინაშე და მათი უფლებები ილახება და ამის მომსწრე არაერთხელ ყოფილა, ოღონდ გამოსწორების სადარაჯოზე და არა უგულებელყოფის, რომ ტექნიკურია მხოლოდ. ძალიან ბევრი სავალალო შედეგები დგება.

დაწესებულების წარმომადგენელმა გაიმეორა თავისი პოზიცია, რომ პრეტენზია არავის გამოუთქვამს. მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით:

1.1 შეფასების წესი არ იყო საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში. ამ შემთხვევაში, დაწესებულება თვლის, რომ კატალოგი ძირითადად არის სარეკლამო ხასიათის და თუ ვინმეს რაიმე წესი აინტერესებს, მობრძანდეს და გაეცნოს. რაც შეეხება დღვანდელ მდგომარეობას, ეს წინა ოქმშიც არის დაფიქსირებული, რომ ეს რეკომენდაცია ნამდვილად იმ დროისთვისაც იყო გამოსწორებული.

1. 2 რეკომენდაცია მოიხსნა წინა საბჭოზე.

1.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, თუკი სტუდენტს არ აქვს იმის საშუალება, რომ ხელშეკრულება გააფორმოს, ამ შემთხვევაში შეიძლება გონივრულად მოხდეს მსჯელობა, თუკი აქვს

ფორსმაჟორული სიტუაცია, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების გაფორმებას. მან ასევე ეჭვქვეშ დააყენა ექსპერტების რეკომენდაცია დაწესებულების საშტატო განრიგთან დაკავშირებით, რაც გამოიხატებოდა ადმინისტრაციული თანამდებობების შეუსაბამობაში (საქმე ეხებოდა ექსპერტთა რეკომენდაციას, რომ სტუდენტთა მობილობის კომისიაში შეყვანილი იყო ისეთი პოზიციის პირი, რომელი პოზიციაც თითქოს დაწესებულებაში არ არსებობდა). ედიშერ კუტალიამ აღნიშნა, რომ დასკვნის დანართად წარმოდგენილი იყო სტრუქტურა და დირექტორის ბრძანებები, მტკიცებულებების გარეშე დასკვნაში არაფერი აქვთ ჩადებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ როცა ამდენ ტექნიკურ შეცდომაზეა საუბარი, ეს უფრო სისტემური შეცდომებია დაწესებულების მხრიდან და ამ მხრივ არც თუ მოწესრიგებულ სტრუქტურაზე მიუთითებს. ეს არის მისი შეფასება, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელს აქვს თავისი შეფასება.

ნანი დალაქიშვილმა დასვა შეკითხვა დაწესებულების წარმომადგენლის მიმართ, რომ მის საუბარში რამდენიმეჯერ გაიჟღერა ფრაზებმა: ,,ეხლაც მიმდინარეობს", ,,ეხლაც არის", ,,ეხლაც გამოსწორებულია", ,,ეხლანდელ დოკუმენტებს წარმოგიდგენთ", ხომ არ ნიშნავსეს იმას, რომ კოლეჯი აგრძელებს ფუნქციონირებას.

დაწესებულების წარმომადგენლმა უპასუხა, რომ ამ მომენტისათვის კოლეჯში არიან მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციის წევრები. საგანმანათლებლო პროცესი პროგრამებზე, რათქმა უნდა არ მიმდინარეობს, არის მხოლოდ ერთ მისამართზე და მხოლოდ ერთ-ორ ადამიანზეა საუბარი. რამდენიმე ადამიანი, რომელიც ადმინისტრაციაშია აყვანილი, მათ ხელშეკრულებებზე იყო საუბარი, რომ ამჟამად გამოსწორებულია. აქ ერთეულებზეა საუბარი და არა მასწავლებლებზე, სამწუხაროდ, საგანმანათლებლო პროცესი არ მიმდინარეობს.

რაც შეეხება ბიბლიოთეკარის ფუნქციებს, რომ მას უნდა სცოდნოდა თავისი ფუნქციები, წესი და ა.შ. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქსირა, რომ აღნიშნული წესი გამოკრული იყო სტენდზე და ბიბლიოთეკარსაც ჰქონდა შესაძლებლობა გასცნობოდა, ასე რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მის არაინფორმირებულობად შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება ფუნქციების გამიჯვნას, ესეც იყო გაწერილი და გამოკრული სტენდზეც, რაც შეეხება ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებს და მედიკამენტებს, იმ დროისათვის, სიგნალიზაცია იყო დაყენებული და ამ დროისათვის კოლეჯმა კიდევ უფრო გააუმჯობესა მდგომარეობა, აყვანილია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელმაც შეიმუშავა მთელი რიგი კონცეფციები და ამ მხრივ გაუმჯობესებულია მდგომარეობა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თავისი პოზიცია გამოხატული აქვს, წინა საბჭოზეც და ახლაც ადასტურებს იმას, რომ ხელშეკრულებისთვის და შრომითი ურთიერთობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ფუნქციების გაწერა და ის, რომ არ არის დავა ფუნქციების გადანაწილებაზე, აბსოლუტურად არ არის საკმარისი არგუმენტი იმისათვის, რომ ვთქვათ, არ არის საჭირო ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდ იყოს გამიჯნული, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არ ამბობს, რომ საჭირო არ არის ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნა, უბრალოდ თუ არ იყო, ამის გამო ზიანი არავის მიდგომია. დღესდღეობით ეს გამოსწორებულია.

საბჭოს წევრებთან მოთათბირების შემდეგ, **საბჭოს თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ პირველ რიგში მიმართავს კოლეჯ ,,ელიტის" წარმომადგენელს, საბჭო არ არის ორიენტირებული, რომ მხოლოდ ხარვეზები დაინახოს და არ ხედავდეს სხვა გარემოებებს, როგორიცაა რეგიონში ასეთი საგანმანათლებლო ცენტრის მნიშვნელობა, თუმცა ამ გადმოსახედიდან საბჭოს სჭირდება მეტი სიცხადე და საჭიროდ თვლის ავტორიზაციის ახალი სტანდარტებიდან გამომდინარე მოხდეს მონიტორინგის დასკვნის ხელახალი განხილვა. უფრო კონკრეტულად, სურთ შუამდგომლობით მიმართონ ცენტრს, თუკი დაწესებულება თანახმა იქნება, მიეცეს ამ სასწავლებელსაც საშუალება, რომ დასკვნა განხილულ იქნას ახალი სტანდარტების ჭრილში. ეს არ უნდა იყოს შეფასება, ახლანდელი მდგომარეობით. არსებული დასკვნა იქნება განხილული

და შეფასებული ახალი სტანდარტების მიხედვით ცენტრის და ექსპერტების მიერ. დაწესებულების წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რომ დაევალოს ცენტრს, მონიტორინგის განმახორციელებელ ექსპერტებთან თანამშრომლობით მოახდინოს უკვე არსებული მონიტორინგის დასკვნის აღწერა ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მიხედვით, რაზეც სხდომის მონაწილეთა სრულმა შემადგენლობამ თანხმობა გამოთქვა.

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული დანარჩენი სამი საკითხის განხილვა გაგრძელდეს 29 აპრილს 14:00 საათზე.

სხდომა დასრულდა 17:55 საათზე.

2020 წლის23 აპრილის დღის წესრიგით გათვალისწინებული სამი საკითხის განხილვა მოხდა 29 აპრილის სხდომაზე. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, დაიწყო 14:00 საათზე

https://us02web.zoom.us/j/82716668308?pwd=akVXVkI5NTRDaXYxOTNhZjhZU1R6QT09
Meeting ID: 827 1666 8308
Password: 205046

29 აპრილს საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“ კონსულტანტი,საბჭოსთავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოსმდივანი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
ანა საბახტარიშვილი - ა(ა)იპ ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე
ნოდარ მამინაიშვილი - არაფორმალური განათლების ახალგაზრდული ცენტრი „მზიანი სახლი“ გამგეობის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
კახაბერ ერაძე - ცენტრის დირექტორის მოადგილე

ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტთა კორპუსის მართვის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისმონიტორინგის კოორდინატორი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

იურიდიული პირების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი ,,სპექტრი“

მათე ტაკიძე - კოლეჯის დირექტორი,
ვარლამ ავალიშვილი - დირექტორის მოადგილე,
თეიმურაზ მაჩაიძე - დირექტორის მოადგილე,
ეკატერინემამღარაშვილი - იურისტი,
ნოდარ მეგრელიშვილი - ხარისხის მართვი მენეჯერი,
ინა ქვრივიშვილი - საქმის მწარმოებელი,
თეა ლეჟავა - კარიერისა და პროფორიენტაციის დაგეგმვი სმენეჯერი,
ლაურა ბიჭიკაშვილი - სასწავლო პროცესის მენეჯერი,
თამარ არჩუაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი

სსიპ - კოლეჯი ,,ახალი ტალღა“

ირმა მეგრელიძე - კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი

ექსპერტები:

ალინა კუპრავა
ვალერი ჯაჯანიძე
ჯიმშერ მაისურაძე
ნაზო წიბლიაშვილი
გიორგი ნაჭყეპია
თამარ რემიშვილი
იაზონ დანელია
ირმა ღარიბაშვილი

საბჭოს თაბმჯდომარე მიესალმა და მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს. თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო

უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელი, **ნანი დალაქიშვილი** მიესალმა დამსწრეებს და აღნიშნა, რომ დღვანდელ სხდომაზე განსახილველი საკითხები გადმოტანილია 23 აპრილის სხდომიდან. ეს საკითხებია:
1. სსიპ კოლეჯი „სპექტრისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

2. სსიპ კოლეჯი „სპექტრისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

3. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ მიმდინარეობს აუდიო ჩანაწერის გაკეთება დადგენილი წესით, რომელსაც ცენტრი ახორციელებს. სხვა ტიპის, ვიდეო ან ფოტო გადაღება აკრძალულია.

3. სსიპ კოლეჯი „სპექტრისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ **სსიპ კოლეჯ „სპექტრის“** წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფმა, კერძოდ, ალინა კუპრავამ (ჯგუფის ხელმძღვანელი), ვალერი ჯაჯანიძემ და ჯიმშერ მაისურაძემ.

ალინა კუპრავამ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია ექსპერტთა დასკვნის შესახებ. მან აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 28 თებერვლის N 249977 ბრძანების საფუძველზე, 2020 წლის 5-6 მარტს სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება და სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია, განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, განხორციელდა ვიზიტი დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების “მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისობის დასადგენად. შემოწმება მიმდინარეობდა ძველი სტანდარტების მიხედვით და ამიტომ, დღის

წესრიგის შესაბამისად შემოწმდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსები. ექსპერტებმა დააფიქსირეს შემდეგი ხარვეზი:

1.4 ქვესტანდარტი. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N24 აბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯ ,,სპექტრის" პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურები; სსიპ კოლეჯ სპექტრის 2019 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებით დარეგულირებულია საშემოდგომო მიღებაზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და წარდგენის ვადების განსაზღვრა. ექსპერტების მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების არსებული პრაქტიკის შემოწმების მიზნით დაწესებულებას ეთხოვა წარმოედგინათ ერთი არასრულწლოვანი და ერთი სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში ქეისში განთავსებული იყო ყველა დოკუმენტი, ხელშეკრულება გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისად, მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები, დაწესებულების უფლება-მოვალეობები. არასრულწლოვნის შემთხვევაში განცხადება დაწერილი იყო სხვა გვარის მქონე პირის მიერ, იგივე პირის მიერვე იყო ხელშეკრულება გაფორმებული (როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა ახსნა, აღნიშნული პირი არის აპლიკანტის და), პირად საქმეში არ იყო არც მინდობილობა და არც აღნიშნული პირის პირადობის მოწმობის ასლი; დაწესებულებამ წარმოადგინა სხვა არასრულწლოვანი პირის პირადი საქმე, რომელშიც განცხადება დაწერილი იყო აპლიკანტის მშობლის მიერ, თუმცა არ დასტურდება რომ ხელმომწერი პირი ნამდვილად მშობელია, რადგან არ არსებობს ხელმომწერი პირის არც პირადობის მოწმობის ასლი და არც აპლიკანტის დაბადების მოწმობაშია მითითებული ხელმომწერი პირის პირადი ნომერი. დაწესებულების მიერ დარღვეულია მოთხოვნები არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებით. განხილული ორი ქეისიდან ორივე არასრულყოფილია, პირად საქმეში არ დევს არც კანონიერი წარმომადგენლის მინდობილობა და არც პირადობის მოწმობის ასლი, ასევე არც ხელმომწერი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, შესაბამისად ხელმომწერ პირთა კანონიერი წარმომადგენლობა არ დასტურდება. აუცილებელია დაწესებულებამ სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესში დაარეგულიროს და დაიცვას აღნიშნული საკითხები.

გაიცა რეკომენდაციები:

1.1 ქვესტანდარტი. წარმოდგენილი მემორანდუმების უმეტესი ნაწილი გაფორმებულია საგნობრივი პროგრამების სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების გასავლელად და არ ითვალისწინებს მოდულური პროგრამების მოდულებს, კერძოდ არაა მითითებული თუ კონკრეტულად რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი პრაქტიკის ობიექტზე და რომელი მოდულის ან სწავლის შედეგის გასავლელად. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე დაიწყო მემორანდუმების/დანართების განახლება. რეკომენდებულია დაწესებულებამ ბაზებთან დადოს განახლებული ხელშეკრულებები და შესაბამისობაში მოიყვანოს საგანმანათლებლო პროგრამების სახლწოდებებთან; რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში არ იყოს სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები, პროფესიული განათლების მასწავლებელმა დაგეგმოს მოდულის განხორციელებისა და პროფესიულსტუდენტთა შეფასების მიდგომები;

1.4. ქვესტანდარტი. რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს სასწავლო პოცესის მარეგულირებელი დოკუმენტები ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან;

2.8 ქვესტანდარტი. დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით, რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი განთავსებული იყოს დაწესებულების ვებ-გვერდზე;
2.9 ქვესტანდარტი. რეკომენდებულია დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმა (ექვსწლიანი) მოიყვანოს შესაბამისობაში ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და სტრატეგიული გეგმა მოიცავდეს სტრატეგიული მიზნის შესასრულებლად გასახორციელებელ ამოცანებს და აქტივობებს. რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმა მოიყვანოს შესაბამისობაში ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან და წინა რეკომენდაციის შესაბამისად სამოქმედო გეგმაში ასახოს ინფორმაცია აქტივობის შემსრულებელი პირის/პირების შესახებ, ნათლად ჩამოაყალიბოს განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმებიდა მის შესასრულებლად საჭირო რესურსები(მატერიალური, ფინანსური და ადამიანური).
3.3 ქვესტანდარტი. რეკომენდებულია დაწესებულებას გააჩნდეს პესონალის თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროების მიზნით.
პრეზენტაციის ბოლოს ექსპერტმა წარმოადგინა ფოტო მასალა, წარმოადგინა A, B და C გარემოს ფოტოები, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, ბიბლიოთეკის რესურსის ფოტო, და ასევე ადაპტირებული გარემოს, უსაფრთხოების და სამედიცინო კუთხის დამადასტურებელი ფოტოები.
შემდეგ ისაუბრა დარგის ექსპერტმა, **ვალერი ჯაჯანიძემ**. მან აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია, რაც გასცეს, ძირითადად ეხებოდა მემორანდუმებს, ეხებოდა პროგრამის დასახელებებს, რომლებიც მოვიდა შესაბამისობაში, ასევე ეხებოდა ლიტერატურას, რომელიც გასაახლებელი იყო და მეტ-ნაკლებად მოხდა განახლება. ექსპერტები არ დაეთანხმნენ დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების, მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების პროგრამებზე, არ იყო შესაბამისი გამტარუნარიანობის მქონე C გარემო. დაწესებულებას მოთხოვნილი ქონდა 60. ექსპერტების რეკომენდაცია იყო 30 სტუდენტი თითოეულ პროგრამაზე, რასაც დაწესებულებაც დაეთანხმა. იგივე დაადასტურა ექსპერტმა **ჯიმშერ მაისურაძემაც.** მისი აზრით, სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის პროგრამის შესაბამისი C გარემო დამაკმაყოფილებელია, შედეგზე ნამდვილად გავლენ. ლიტერატურაც მოძიებული და განახლებულია, ასე რომ პრობლემა ამ მხრივ არ არის. **ალინა კუპრავამ** დაამატა, რომ ამ პროგრამის ხელმძღვანელები მონდომებული და საკმაოდ პასუხისმგებლიანი ადამიანები არიან, ვიზიტის პერიოდში რა რეკომენდაციებიც მიეცათ ექსპერტების მხრიდან, გამოსწორებული აქვთ.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა 1.4 სტანდარტის ხარვეზის შინაარსით, რომელიც ეხებოდა არასწრულწლოვანთან გაფორმებულ ხელშეკრულებას. როგორც დასკვნიდან ჩანს, ასეთი 2 შემთხვევა იყო, სულ ორი არასრულწლოვანი იყო ამ დაწესებულებაში, თუ სხვა დოკუმენტაციაც ნახეს ექსპერტებმა, თუ იყო ისეთი შემთხვევები, როცა სწორად გააფორმეს ხელშეკრულება არასრულწლოვანთან. ექსპერტის განმარტებით, მათ ნახეს მარტო ეს ორი შემთხვევა, მეორე შემთხვევაში დედის დაბადების მოწმობა წარმოდგენილი იყო, მაგრამ პირადი ნომერი არ ეწერა და არც პირადობის ასლი იყო წარმოდგენილი. დაწესებულება მოქმედებდა საკუთარი რეგულაციის დარღვევით, რომელიც თავის მხრივ კანონმდებლობის შესაბამისი იყო.
საბჭოს წევრი დაინტერესდა, არცერთ იმ პროგრამაში, რომელიც დაწესებულებამ უნდა დაიმატოს, არ არსებობს საწარმოო პრაქტიკის მოდულები, ასეთ შემთხვევაში დაწესებულებას თუ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა, რომელი სწავლის შედეგი უნდა გაიტანოს პრაქტიკის ობიექტზე.
დარგის ექსპერტმა **ჯიმშერ მაისურაძემ** უპასუხა, რომ იყვნენ ძალიან კარგ პრაქტიკის ობიექტზე, ჯეოტურანში. იქ მოხდა გასაუბრება, რომლითაც დადასტურდა, რომ აქვთ მზადყოფნა პროგრამებისთვის, მათ აქვთ ძალიან მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა,

პრაქტიკის მოდული არ აქვთ, მაგრამ გარკვეული სწავლის შედეგები გადის პრაქტიკის ობიექტზე. თან მნიშვნელოვანია, რომ ეს ობიექტი ეუბნებათ, მომიყვანეთ N რაოდენობის სტუდენტი და დაგისაქმებთო.

დარგის მეორე ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ დაამატა, რომ მემორანდუმებში, რაც დაწესებულებამ პირველად წარმოადგინა, სწორედ ეს პრობლემა იყო. სასწავლო პრაქტიკული მოდულები, პრაქტიკული შედეგები, რომლის განხორციელების საშუალება არსებულ C გარემოში არ არსებობს, უნდა გავიდეს ობიექტზე.ეს რეკომენდაცია იქნა გაცემული და ბოლო მემორანდუმი რაც წარმოადგინეს, იქ მეტ-ნაკლებად წარმოჩინდა. გარდა ამისა, დაწესებულება მემორანდუმის გარდა სარგებლობს პრაქტიკაზე გაგზავნის დოკუმენტაციით, იქ არის კონკრეტულად გაწერილი რომელი სტუდენტი სად გაიგზავნება, რომელ მოდულზე და რა ნაწილზე. დამტკიცებული აქვთ და ასე კეთდება აბსოლუტურად ყველა პრაქტიკაზე. ექსპერტმა **ალინა კუპარავამ** დაამატა, რომ მათ ნახეს ზოგადი ხელშეკრულებები, შემდეგ ისინი გაესაუბრნენ პრაქტიკის კოორდინატორს და მოსთხოვეს დოკუმენტაცია, რომ შეემოწმებინათ არსებული მდგომარეობა ამ მხრივ. პრაქტიკის კოორდინატორმა წარმოადგინა ხელშეკრულება გაფორმებული და დამადასტურებელი მიმოწერა პრაქტიკის ობიექტთან, როდის რამდენი სტუდენტი გაიგზავნებოდა, პრაქტიკის რა ნაწილის გავლასთან დაკავშირებით.

ცენტრის მხრიდან **კახაბერ ერაძე** ჩაერთო საბჭოს და ზოგადი განმარტება გააკეთა კონკრეტულ ქეისთან დაკავშირებით. ის რათქმა უნდა თავს შეიკავებს, საბჭოს გადასაწყვეტია კანონის მიხედვით. უბრალოდ უნდა ექსპერტების კომენტარს გამოეხმაუროს. იმიტომ რომ მემორანდუმს, ახალი ავტორიზაციის დებულებით ითვალისწინებს, როგორც მტკიცებულებას. თუ შევხედავთ ახალი დებულების ჭრილშიც, პრობლემას ვერ ვხედავთ. და ეს გამოწვეული იყო შემდეგით, რომ დაწესებულებებთან საწარმოები/პრაქტიკის ობიექტები თავს იკავებდნენ ხოლმე ხელშეკრულების გაფორმებისას. თუმცაღა სამართლებრივი შედეგი მაინც იგივე დგება. ფაქტობრივად პრაქტიკაზე ისინი სტუდენტებს იღებენ. ამიტომაც ხელშეკრულებებით რომ არ დაგვეფრთხო საწარმოები, ახალი დებულები შესაბამისად, მემორანდუმიც საკმარისია, ოღონდ კონკრეტულ შემთხვევაში, სტუდენტთა პრაქტიკაზე გაშვების ფაქტი უნდა დასტურდებოდეს სხვა მტკიცებულებით. ეს შეიძლება იყოს მეილზე მიმოწერა, როგორც ამ დაწესებულებას ჰქონდა. შეიძლება ზოგან იყოს დამატებით ხელშეკრულება გაფორმებული კონკრეტული პრაქტიკის გატარებასთან დაკავშირებით. ასე რომ ამ ნაწილში ხედვები სამომავლოდ იქნება ამ მიმართულებით.

დაწესებულების დირექტორმა **მათე ტაკიძემ** წარმოადინა თავისი პოზიცია. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ყოველი ვიზიტი იძლევა შემდგომი განვითარების საშუალებას. სამწუხაროდ, როგორც ქ-ნმა ალინამ ახსენა, არასრულწლოვანთან გაფორმებული ხელშეკრულება მას წინასწარ არ უნახავს, იმდენად დარწმუნებულები იყვნენ, რომ აქ შეცდომა არ უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, შეცდომა აღმოჩნდა იმ ერთ შემთხვევაში, რომელზედაც იყო საუბარი. გადამოწმდა ყველა არასრულწლოვანთა დოკუმენტაცია და ეს იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა. უკვე მიიღეს ზომები, პოზიცია შეეცვალა სტუდენტთა ხელშკრულებებზე პასუხისმგებელ ქალბატონს, გადამზადდა პირი, რომელიც დაინიშნა აღნიშნულ პოზიციაზე, რომელსაც მაქსიმალური ყურადღება და კონცენტრაცია ექნება ასეთ საკითხებზე. ასე რომ, კიდევ ერთხელ აღიარებს და ადასტურებს, რომ სამწუხაროდ, ეს ფაქტი მოხდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს, დასკვნაში წერია მეორე ფაქტზეც. რას იტყოდა ამასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რომ ასეთი დარღვევა აღარ განმეორდეს. რეალობა ის არის, რომ შეცდომა იყო. ანალოგიური შეცდომა კოლეჯს აღარ ექნება. არცერთი სტუდენტის უფლება არ იქნება დარღვეული. მონიტორინგი დაევალა მოადგილეს, ნებისმიერი დოკუმენტაცია, საბუთი, კონტროლზე იქნება აყვანილი. პასუხიმგებლობა იქნა გადანაწილებული. დატრეინინგდა თანამშრომელი, რომელიც კურირებს ამ საკითხებს კოლეჯში. ასე რომ, საკითხი აყვანილია მკაცრ კონტროლზე. რაც შეეხება რეკომენდაციებს, გაეცნო ექსპერტების რეკომენდაციებს. გაითვალისწინეს და მათ

შორის იყო ერთი ადაპტირებული გარემო. მათ აქვთ 4 კორპუსი. მათ შორის ერთი კორპუსის მეორე სართული არ არის ადაპტირებული, თუმცა უკვე დაიწყეს ახალი ადაპტირებული სივრცის შექმნა. თუ იქნება შშმ პირის ჩართულობა პროგრამაში, მისთვის იქნება ადაპტირებული გარემო.
რაც შეეხება კომპიუტერულ ოთახს, შეიძინეს 16 ახალი კომპიუტერი. 15 სტუდენტებისთვის და მასწავლებლისთვისაც. გარდა ამისა, საუბარი იყო როუტერის შეძენაზე. ერთადერთი პრობლემა მის შეძენაზე იყო, არა ფინანსური, არამედ პანდემიის. ამ ეტაპზე მოხდა შეჩერება, მაგრამ გეგმავენ შეძენას.
ადგილზევე მოხდა ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება ან ვიზიტის დასრულების შემდგომ მოხდა განახორციელება. რაც შეეხება მემორანდუმს საწარმოებთან, თუ საჭიროა ქვეხელშეკრულებებს აფორმებენ კონკრეტული პოზიციების ჩამოყალიბებით, რამდენი სტუდენტი შედის, რა უფლებებით, რა პირობებით. იქნება თუ არა დაცული მათი შრომითი უფლებები და უსაფრთხოება და ა. შ. ამდენად ყველა კომპანიასთან ფორმდება მემორანდუმის შემდეგ, ხელშეკრულება. 10 კომპანიასთან ერთობლივად აქვთ გაკეთებული ტრენინგ ცენტრი, როგორც მათ ბაზაზე, ასევე კოლეჯის ბაზაზე. მათი მიდგომა ასეთია, ნებისმიერ სტუდენტს უნდა ჰქონდეს გასვლის უფლება, გავიდნენ ადგილზე ნახონ, გაიგონ ბიზნესში რა ხდება, წარმოებაში რა ხდება, რომელიმე ობიექტზე რა ხდება, რომ მას სრული წარმოდგენა ჰქონდეს და ადგილზე მიიღოს ის ცოდნა, რომელიც საჭიროა მისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ანუ არ უნდა იყოს უცხო ის გარემო, რომელშიც შეიძლება თითოეული მათგანი მოხვდეს.
მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ექსპერტების ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, აქვს თუ არა კოლეჯს ახალი სტრატეგიული გეგმა. დაწესებულების მხრიდან იყო პასუხი --ახალი სტრატეგიული გეგმა არის 7 წლიანი და განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. ახალ სტრატეგიულ გეგმაში დამატებით ჩაემატება ახალი მუხლი, ამაზე მუშაობენ, ეს არის პანდემიისა და საგანგებო მდგომარეობის დროს როგორ იგეგმება კოლეჯში კონკრეტული მიმართულების განვითარება.
საბჭოს წევრს ჰქონდა შეკითხვა კოლეჯის წარმომადგენელთან. ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მისთვის ეს პროგრამები, როცა გაეცნო და აინტერესებს როგორ აქვთ მოთხოვნა შესწავლილი ბაზარზე, ანუ რამდენად დიდია ამ პროფესიებზე მოთხოვნა და შემდგომში, როგორია დასაქმების პერსპექტივები. ასევე, აინტერესებს ვინ იქნება მათი სეგმენტი, სტუდენტები. ახალი სკოლადამთავრებულები, თუ ვინც არიან უკვე შრომით ბაზარზე, რაზედაც მათე ტაკიძემ უპასუხა, რომ პირველ რიგში როცა რაიმე პროგრამის დამატებაზეა საუბარი, იკვლევენ ბაზარს, ბუნებრივია. კოლეჯი ახორციელებს ბიზნესებთან უამრავი კითხვარების (რომელიც ჩამოყალიბებულია GIZ ის სტანდარტების მიხედვით) გადაგზავნას, მათ ჰყავთ მენეჯერი, რომელიც ამ საქმეს ხელმძღვანელობს და აქვს ურთიერთობები უამრავ ბიზნეს კომპანიებთან. როცა ისინი ღებულობენ კონკრეტულ დაკვეთას ბიზნესიდან, ამის შემდეგ იწყებენ ფიქრს რომელიმე კონკრეტული პროფესიის გაძლიერებაზე და განვითარებაზე. ამ ეტაპზე გარდა გრძელვადიანი პროგრამებისა, მათ აქვთ 14 მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამები და წლის ბოლომდე დაახლოებით 20 პროგრამამდე ფიქრობენ რომ ექნებათ დამატებით. კითხვარების ანალიზის შემდეგ ბიზნესთან ერთად იწყებენ პროგრამაზე მუშაობას. კოლეჯს დაახლოებით 140 საჯარო შეხვედრა აქვს ჩატარებული 7 რეგიონში და დედაქალაქში, სადაც ჩართულობა იყო სკოლების, რესურს ცენტრების და კერძო და სახელმწიფო დაწესებულებების. პირადი საჯარო შეხვედრებით, სატელევიზიო და რადიო გადაცემებით პოპულარიზაციას უწევენ. სკოლებმაც, გამოთქვა სურვილი და დაინტერესდნენ პროფესიული პროგრამებით. ერთმა კერძო სკოლამ 65 სტუდენტი დააფინანსა.
თავმჯდომარე დაინტერესდა, დამატებით კითხვები ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. კითხვები აღარ დასმულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ მნიშვნელოვანი იყო დაწესებულების არგუმენტები, მაგრამ ძველი სტანდარტების მიხედვით უარის თქმის საფუძველი არსებობს. საბჭომ გაითვალისწინა, რომ ავტორიზაციის ახალი დებულება უკვე ძალაშია. საბჭოს შეუძლია გარკვეული ვადა მისცეს დაწესებულებას ხარვეზების გამოსასწორებლად, რომლის შემდეგაც ჩაინიშნება მონიტორინგი. შესაბამისად, გთავაზობთ, აღნიშნა თავმჯდომარემ, წავიდეთ ამ ახალი სტანდარტების მიხედვით და ჩაინიშნოს 3.1. კომპონენტის (3.1.1 კრიტერიუმის ფარგლებში) შესაბამისობის მონიტორინგი და ასევე, იმ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომელიც იყო შემოთავაზებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ.
დაწესებულებამ თანხმობა განაცხადა მონიტორინგთან დაკავშირებით და ვადასთან დაკავშირებითაც დააფიქსირა მისი პოზიცია, რომ დაწესებულება მზად იქნება 29 აგვიტოსთვის, რომელი თარიღის შემდეგაც შეიძლება განხორციელდეს მონიტორინგი.
საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ ჩაიკითხა თითოეული დასამატებელი პროგრამის პარამეტრები, რაც ექსპერტმა და დაწესებულებამაც დაადასტურეს და დააყენა კენჭისყრაზე საკითხი სსიპ კოლეჯ სპექტრისათვის“ სამი პროფესიული პროგრამის დამატების (მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება, მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება, სანტექნიკის სისტემების ექსპლოატაცია) თაობაზე, იმ დათქმით, რომ საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით 2020 წლის 29 აგვისტოს შემდეგ განახორციელოს ახალი სტანდარტების 3.1. კომპონენტთან დაწესებულების შესაბამისობის და ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, დოკუმენტაციის გამოთხოვის გზით.

კენჭისყრის შედეგები:

თანახმა: 8
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, **სსიპ - კოლეჯ „სპექტრს“ (ს/კ: 208183605) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2).**

2. სსიპ კოლეჯი „სპექტრისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფმა, კერძოდ, ნაზო წიბლიაშვილმა (ჯგუფის ხელმძღვანელი), გიორგი ნაჭყეპიამ და ირმა ღარიბაშვილმა.

ნაზო წიბლიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფები პარალელურად მუშაობდნენ, ერთი და იგივე ხარვეზები გამოიკვეთა, რეკომენდაციების ნაწილში იყო მცირე სხვაობა. რომ არ განმეორდეს ხარვეზებსა და რეკომენდაციებში, რაც უკვე მოისმინეს, მას სურს დაამატოს თავისი რეკომენდაციები.
1.4 ქვესტანდარტი - რეკომენდაცია ეხებოდა რეგულაციას, რომ ყოფილიყო ზუსტად გაწერილი სტუდენტის სტატუსის მინიჭების მუხლში, თუ რა დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი არასრულწლოვანი პირის მიერ. ბრძანებაში კი ეწერა, რომ არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში განცხადება უნდა შეავსოს მისმა მეურვემ ან წარმომადგენელმა, თუმცა არ იყო მითითებული, რომ სავალდებულო იქნებოდა მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადობის მოწმობა. ეს უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ და დოკუმენტში ჩადოს, რათა ვინც იქნება საბუთების მიმღები, ეცოდინება რა დოკუმენტები მოთხოვის და როგორ შეავსოს პროფესიული სტუდენტის ქეისი. გარდა ამისა, მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დაწესებულებას ჰქონდეს თანხმობის ფურცელი პირად მონაცემთა გასაჯაროებასთან დაკავშირებით.
რაც შეეხება უშუალოდ პროგრამებს, განსახილევლად იყო შემოტანილი სამი პროგრამა: ვებტექნოლოგიები, კომპიუტერული ქსელები და სისტემები, იატაკის და ფილის სამუშაოები. შესაბამისად გადამოწმდა ამ სამივე პროგრამის დოკუმენტაცია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსი. ექსპერტთა რეკომენდაციით შევუმცირდა სტუდენტების ზღვრული რაოდენობა კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროგრამაზე. აქედან გამომდინარე, იყო ერთ-ერთი რეკომენდაცია გაცემული, რომელიც ეხებოდა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების პროგრამისთვის, რომელიც 90 კრედიტიანია, აქედან, 80 კრედიტი ფაქტიურად არის B გარემოში განსახორციელებელი, დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ ორი B გარემო,რომელიც 15-15 ადამიანს იტევდა და სპეციალური მოდულების განმახორციელებელი მხოლოდ 2 პროფესიული მასწავლებელი, რითაც შეუძლებელი იყო მოთხოვნილი 90 სტუდენტის სწავლება. თუმცა ინტერვიურებისას, დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მათ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ გამოიყენონ დამატებით ახალი ოთახი, არის კომპიუტერები, ტექნიკურ აღჭურვილობასაც შეიძენდნენ, მაგრამ ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ორი ოთახით, ორი პედაგოგით, 15-15 სტუდენტზე მეტის სწავლება, შეუძლებელი იყო. ამიტომ კვოტა შეამცირეს 60 სტუდენტამდე.. გარდა ამისა, რეკომენდაციები გაიცა დარგობრივი მიმართულებითაც.
დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, ისაუბრა იატაკისა და ფილის სამუშაოების პროგრამასთან დაკავშირებულ სტანდარტებზე. მან შეისწავლა ამ პროგრამის პროგრამული ნაწილი, მატერიალური და ადამიანური რესურსები. როგორც აღინიშნა, A და C გარემო მოწყობილი იყო ცალკე მდგომ შენობაში, მეორე სრთულზე, რომელიც არ იყო ადაპტირებული შშმ პირებისათვის.. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი განიხილეს დაწესებულების წარმომადგენელთან და მათ ვიზიტის პერიოდში აჩვენეს სამუშაო გარემო იგივე შენობაში, A გარემო, რომელიც პირველ სართულზე იქნა მოწყობილი, ხოლო C გარემო, შენობის გარეთ ცალკე შენობაში. მან ფოტო მასალა წარმოადგინა, სადაც ეს გარემოები ჰქონდათ გადაღებული. ეს C გარემო არის მოსაწესრიგებელი, არაჰიგიენურ მდგომარეობაშია. განათება უნდა მოეწყოს და ჩასატარებელია მთელი რიგი სამუშაოები. ვიზიტის პერიოდში ნახეს, რომ დაწყებული იყო დასუფთავების სამუშაოები. ასევე კედლის შეთეთრება იყო დაწყებული.
ერთი რეკომენდაცია იყო ინდივიდუალურ დამცავ საშუალებებთან დაკავშირებთ. ექსპერტებმა ნახეს შესყიდვის დოკუმენტაცია, თუმცა ეს იყო 2016, 2017 და 2018 წლებში, ვიზუალურად ეს ახალი მასალა ვერ ნახეს და აქედან გამომდინარე მისცეს რეკომენდაცია, რომ კონკრეტულად ამ პროგრამის ფარგლებში შეძენილი ყოფილიყო ინდივიდუალური დამცავი საშუალებები,

იმიტომ რომ ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, განსაკუთრებით დღეს, რომ პროფესიულმა სტუდენტმა შეიძინოს სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების უნარები.
ერთი რეკომენდაცია იყო დარგის განმახორციელებელთან, პროფესიულ მასწავლებელთან დაკავშირებით. სულ პროგრამის ფარგლებში 16 პროფესიული მასწავლებელი იღებს მონაწილეობას. აქედან ერთი არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირი, გაიცა რეკომენდაცია, დამატებით კიდევ ერთი პირი დაამატონ, რომ საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მასწავლებლის ჩანაცვლება. B გარემოც შემოწმდა, არის პირველ კორპუსში. ადაპტირებულია კარგად.
დარგის ექსპერტმა **გიორგი ნაჭყეპიამ** დაამატა როუტერთან დაკავშირებით, არსებობს ასეთი სიმულაციური პროგრამა, რომელითაც შეუძლიათ ქსელურ მოწყობილობებთან მუშაობა. ეს არის სიმულაციური პროგრამა, რომელშიც როუტერის კონფიგურაცია კეთდება. რეკომენდაცია იყო, რომ რათქმა უნდა ჯობიაჰ ქონდეთ როუტერი, რაზედაც კოლეჯის ხელმძღვანელობა დათანხმდა და მომენტალურად დაიწყეს ამაზე ზრუნვა, შეძენის პროცესი იმ დღიდანვე დაიწყეს. დანარჩენი ყველაფერი წესრიგშია მოწყობილობებთან მიმართებაშიც. სხვა შენიშვნა პროგრამასთან არ გააჩნია. ლიტერატურაც აქვთ წესრიგში. ინტერნეტში არის მასალები და შეუძლიათ იქ გაეცნონ.
ნაზო წიბლიაშვილმა დაამატა, რომ მან უკვე ნახა სტრატეგიული გეგმა ვებგვერდზე, გეგმა უკვე 7 წელზეა გაწერილი, ჩამატებული აქვთ ასევე ის ამოცანები, რაც უნდა შეასრულონ. ასევე აღნიშნა, რომ არ იქნებოდა ამდენი რეკომენდაციები, სამოქმედო გეგმაში რომ ჰქონოდა დაწესებულებას შეტანილი, თუ რა ვადაში განახორციელებენ დოკუმენტებში ცვლილებას ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ასევე სასურველი იქნებოდა დაწესებულებას ჰქონდეს ან კონსოლიდირებული ვერსია ცვლილებებაშეტანილი დოკუმენტების ან ცალკე ცვლილებების ფურცელი.
საბჭოს ერთ-ერთი წევრი დაინტერესდა, ჩარჩო დოკუმენტში თუ წერია ამის აუცილებლობა და რატომ არ შეიძლება დაწესებულებამ არ შეიძინოს ეს მოწყობილობა და დაწესებულება როცა პრაქტიკის ობიექტზე წაიყვანს სტუდენტებს, იქ გაეცნონ ამას.
ნაზი წიბლიაშვილმა უპასუხა,რომ ეს მოწყობილობა მინიმალურ ტექნიკურ აღჭურვილობაში წერია. შეიძლება, მაგრამ ამ პროგრამას არ აქვს საწარმოო პრაქტიკა. აქვს მხოლოდ პრაქტიკული პროექტი. აქედან გამომდინარე, პირველი რაც თვითონაც დასვა კითხვა ექსპერტთან, შეუშლიდა თუ არა სასწავლო პროცესს ამ ხელსაწყოს არარსებობა. მაშინ ექსპერტმა თქვა, რომ არსებობს ეს სიმულაციუარი პროგრამა, რომელიც აქვს დაწესებულებას, მაგრამ სასურველია ცოცხლადაც ჰქონდეს შეხება როუტერთან.
კომენტარი გააკეთა **ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ** მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელიც თითოეულ ჩარჩო დოკუმენტს თან ახლავს, არის სარეკომენდაციო. დაწესებულებას უბრალოდ, გააზრებული უნდა ჰქონდეს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად რა აღჭურვილობა ან რა მასალები დაჭირდება.ის უფრო ცუდი მაგალითია, როცა დაწესებულებას გადმოკოპირებული აქვს ეს ჩამონათვალი და ზუსტად ვერ განმარტავს თავის მიდგომებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, მას შემდეგ რაც დააზუსტა, რომ საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭო იმოქმედებს წინა შემთხვევაში გამოტანილი გადაწყვეტილებით, ცალკე არ დაინიშნება მონიტორინგი. ერთი მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდება ორივე დასკვნით გაცემული რეკომენდაციებისა და ხარვეზის გამოსწორების მდგომარეობის შემოწმება
საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს ერთი მონიტორინგის ფარგლებში შეამოწმოს ამ საკითხით გათვალისწინებული რეკომენდაციებიც და ახალი სტანდარტების 3.1. კომპონენტის ფარგლებში ხარვეზის გამოსწორების მდგომარეობა დოკუმენტაციის გამოთხოვის გზით 29 აგვისტოს შემდეგ.

დაწესებულებამ თანხმობა განაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ ჩაიკითხა პროგრამების პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტებიც და დაწესებულებაც და კენჭისყრაზე დააყენა ვებტექნოლოგიების, კომპიუტერული ქსელისა და სისტემების და იატაკისა და ფილის სამუშაოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, **სსიპ - კოლეჯ „სპექტრს“ (ს/კ: 208183605) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამები(დანართი 3).**

3. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ისტორიული მომენტია, იმიტომ რომ სსიპ კოლეჯ ,,ახალი ტალღისთვის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ საკითხის განხილვა იგეგმება, რაც პირველად ხდება საბჭოს მუშაობის ფორმატში და ასევე, ხდება ახალი სტანდარტის შესაბამისად მომზადებული დასკვნის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. მნიშვნელოვანია ეს საკითხი იმითაც, რომ ასეთი ტიპის პროგრამების დანერგვით განხორციელდება ე.წ. საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრა პროფესიული განათლების სისტემაში, ცხრაკლასდამთავრებული პროფესიული სტუდენტები პროგრამის დამთავრების შემდეგ პროფესიულ კვალიფიკაციასთან ერთად მიიღებენ სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დოუმენტს.
საბჭოს თავმჯდომარემ **სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“** წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფმა, კერძოდ, თამარ რემიშვილმა (ჯგუფის ხელმძღვანელი) და იაზონ დანელიამ.

თამარ რემიშვილმა საბჭოზე წარადგინა პრეზენტაცია. მან აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 12 მარტს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯ ,,ახალი ტალღაში". ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტებმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლეს დწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია. ვიზიტის დროს მოხდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება, გადამოწმდა ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია და წინარე შრომითი ხელშეკრულებები, მოხდა პროგრამის განხორციელების ადგილის დათვალიერება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმება. ვიზიტი მიმდინარეობდა კომფორტულ და კონსტრუქციულ გარემოში. მან აქცენტი გააკეთა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაზე - 30, კრედიტების რაოდენობა მოცემულია ინტეგრირებულის შემთხვევაში და არა ინტეგრირებულის შემთხვევაშიც. როგორც ქართულ ენოვანი ასევე არაქართულ ენოვანი სტუდენტებისთვის. ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯი ახორციელებს ამ პროგრამას 2018 წლიდან. დაწესებულებამ წარმოადგინა ორი პროგრამა, ერთზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო მეორეზე საბაზო განათლება და ამ პროგრამის სტუდენტები გაივლიან ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. ინტეგრირებული მოდულებისთვის დაწესებულებასადამიანური რესურსი უზრუნველყოფილი აქვს. მათ აიყვანეს გადამზადებული პედაგოგები. ასევე აღჭურვილობა და მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია სტანდარტთან და მოთხოვნებთან. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა, შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით ხდება. პროგრამაზე პროფესიულ ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში B სასწავლო გარემოს იღებენ, აქ ლაბორატორიაც იგულისხმება ბუნებრივია. პროგრამის მიზნებითვის არსებობს B გარემო, სადაც განთავსებულია საჭირო ინვენტარი, რომელიც დაათვალიერეს ვიზიტის დროს. პროგრამის რესურსი საკმარისია 30 პროფესიული სტუდენტისთვის ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვედ, შესაბამისად უსაფრთხოების ნორმებიც დაცულია ლაბორატორიაში.B გარემოში იყო 15 კომპიუტერი და მაგიდა სტუდენტებისთვის. ექსპერტები აფასებენ, რომ შესაძლებელია ორ ცვლაში 30 სტუდენტის მიღება. პროგრამა ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს, პასუხობს საშუალო პროფესიული განათლების პროგრამაში ზოგადი იტეგრირებული მოდულების ინტეგრირების წესს და პირობებს. რაც შეეხება განმახორციელებელ პერსონალს, პროგრამას ახორციელებს 18 პირი და მათგან ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ 14 პირთან არის შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული. ეს ადამიანები არიან ძალიან მოტივირებულები. მათ გაიარეს გადამზადების კურსი და იმ დროს როდესაც ვიზიტზე იყვნენ, მეორე ეტაპისათვის ემზადებოდნენ. ისინი მზად არიან შეუდგნენ მუშაობას. უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, რენტაბელობის თვალსაზრისით დათვლილია ზღვარი და ეს ზღვარი არის 13 პროფესიული სტუდენტი. ეს არის სსიპ-ი და სახელმწიფო დაფინანსებით მიმდინარეობს სწავლება. ყველა ინდიკატორი შესწავლილი იქნა კონკრეტულად ამ პროგრამათან დაკავშირებით და რაც შეეძლოთ ექსპერტებმა ყველაფერი ნახეს მაქსიმალურად. ნახენ ჩატარებული კვლევები, სასწავლო პროცესის შეფასება, გაესაუბრნენ კოლეჯის წარმომადგენლებს, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელს, კოლეჯის დირექტორის მოადგილეს. მიიღენ ინფორმაცია მაქსიმალურად, როგორ ხორციელდება ვერიფიკაცია და ამ შემთხვევაში თამამად შეუძლია თქვან, რომ დადებითად

აფასებენ დაწესებულების მიერ ჩატარებულ მუშაობას. დასკვნაში ასევე უნდა აესახათ წინა დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულება. წინა ვიზიტზეც პირადად იყო ამ კოლეჯში თამარ რემიშვილი და რეკომენდაციებიდან სამი დაწესებულებას შესრულებული ჰქონდა ექსპერტების ვიზიტის დროს, ხოლო მეოთხეს რაც შეეხება, ეს არის პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში - პუნქტ ზეგანაკვეთურ სამუშაოს ანაზღაურების წესი, რეკომენდაცია იყო, უმჯობესია ჩაშლილი იყოს დეტალურად და არ იყოს მითითებული სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორიცაა შინაგანაწესი და სხვა. ეს იყო ერთი წლის წინ გაცემული რეკომენდაცია, რომელიც არ ჰქონდა დაწესებულებას ასახული, თუმცა გასაუბრების დროს გგაირკვა, რომ აპირებენ განახორციელონ შემდგომში გაფორმებულ ხელშეკრულებებში ეს ცვლილება. ეს იყო ძირითადი მიგნებები.

დარგის ექსპერტმა **იაზონ დანელიამ** დაამატა, რომ პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადება ხორციელდება ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და გაეროს გავითარების პროგრამის ერთობლივი პროექტის ფარგლებში. ძალიან მოტივირებულები არიან და განწყობილნი ჩაერთონ ახალ გამოწვევაში, რასაც ინტეგრირებული მოდულების სწავლება ქვია. დაწესებულებაში დაგვხვდა ძალიან მეგობრული და თანამშრომლობითი გარემო.

საბჭოს ერთ-ერთი წევრის კითხვა ეხებოდა ექსპერტებს. მათ მიერ შეფასებულია სტანდარტის თითოეული კომპონენტი სრული შესაბამისობით, დაწესებულებამაც ასე შეაფასა საკუთარი თავი, თუ არა? მათ შორის ბოლო, მეოთხე კომპონენტი- სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება. დაწესებულებას აქვს თუ არა რაიმე რეგულაცია ანდა გააზრებული აქვს თუ არა როგორ მოხდება სტუდენტების შეფასება ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში. იგივე პრინციპით, რაც მოდულური პროგრამების თუ განსხვავებული პრინციპით. ამასთან დაკავშირებით უპასუხა ექსპერტმა **თამარ რემიშვილმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ შეფასებასთან დაკავშიებით დასვეს სპეციალურად კითხვები მასწავლებლებთან, რადგან ეს ნაწილი ძალიან სპეციფიურია. მათ მიიღეს მოსაზრებები მასწავლებლებიდან, თუ როგორ უნდა გააკეთონ კომპლექსური დავალებები, როგორ გააკეთონ სწავლის შდეგების შეფასება. შემდეგ დაწესებულების ხელმძღვანელთან ისაუბრეს იმასთან დაკავშირებით, როგორ მოხდება ამ მასწავლებლების მხარდაჭერა, როცა ისინი განახორციელებენ სწავლებას. ეს არის მართლაც სპეციფიური მოდულები და საჭიროა მასწავლებლებსაც ჰქონდეთ სპეციფიური ცოდნა. ამ მოცულობით რაც ნახეს არ გასჩენიათ ეჭვის საფუძველი და სრულ შესაბამისობად შეაფასეს. ამ საკითხთან დაკავშირებით დაამატა ექსპერტმა **იაზონ დანელიამ,** რომ შეფასება ხდება ისე, როგორც ჩვეულებრივ სხვა დარგობრივ მოდულებში. აქაც ჩვეულებრივი მოდულია, ოღონდ შეკრებილია საკითხები და არის მოდულურად ჩამოყალიბებული. შესაბამისად, როგორც არის ვერიფიკაციის მექანიზმი შეფასების სხვა მოდულებთან, ისევე მოხდება ამ მოდულთან მიმართებაშიც და რეგულაციები როგორც აქვს დაწესებულებას, ანალოგიურად მოხდება აქაც. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს იმავე მოდულის მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი ან ადმინისტრაციის წარმომადგენელი. უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა. იგივე კითხვა შეფასების შესახებ ერთ-ერთმა ექსპერტმა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს- აქვს თუ არა დაწესებულებას რეგულაცია ინტეგრირებული მოდულების შეფასებისთვის. -დაწესებულების წარმომადგენელმა **ირმა მეგრელიძემ უპასუხა,** რომ გეგმავენ იმავე პრინციპით შეფასებას, რადგან სხვა რეკომენდაცია არც ხარისხის ცენტრიდან ან სამინისტროდან არ ყოფილა. პედაგოგები გადიან შესაბამის ტრეინინგს. მათ შეუძლიათ შიდა განმავითარებელი შეფასებებისას ქულები დაწერონ და ა.შ. მაგრამ განმსაზღვრელი შეფასება აუცილებლად იქნება დადასტურება, არ დადასტურების პრინციპით. პედაგოგები გადიან ტრეინინგს და ვიზიტის დროს უთხრეს ექსპერტებს, რომ როცა ეს ტრენინგები დასრულდება, ისინი გეგმავენ შიდა ტრენინგებსაც, რათა მათი შიდა მარეგულირებელი წესები გააცნონ პედაგოგებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საბჭოს წევრებს, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ. **საბჭოს თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ ძალიან სასიამოვნოა, რომ ექსპერტების ასეთი შეფასებით დასრულდა ვიზიტი დაწესებულებაში. პირველად ხორციელდება ინტეგრირებული პროგრამის ავტორიზების საკითხი, ასევე პირველად განიხილება ახალი სტანდარტებით შეფასება და სასიამოვნოა, რომ ეს შეფასება არის „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". ამ სასწავლებლის რეპუტაციიდან, გუნდის შემართებიდან გამომდინარე მოსალოდნელი ნამდვილად იყო ის, რომ მათ საუკეთესო შედეგები ეჩვენებინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის" **„კომიუტერული ქსელისა და სისტემების" საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი, რომელ პროგრამაშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად, **სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღას" (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომიუტერული ქსელისა და სისტემების" საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი 4).**

სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:00 საათზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

დანართი 1

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	15	ახალციხე, რუსთაველის ქ. №122ა

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

იმ პროგრამების შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მასაჟისტ-რეაბილიტატორი (1)	მეხუთე საფეხური	მასაჟისტ-რეაბილიტატორისმეხუთესაფეხურისპროფესულიკვალიფიკაცია 090656	114	144	ქართული	17	ახალციხე, რუსთაველის ქ. №122ა
2	პრაქტიკოსი ექთანი (1)	მეხუთე საფეხური	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	134	164	ქართული	20	ახალციხე, რუსთაველის ქ. №122ა

(1) -აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) -აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 2

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიულიკვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამისგანხორციელებისმისამართი / მისამართები
1	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	58	73	ქართული	30	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
2	მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	57	72	ქართული	30	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
3	სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციაში 0732	79	94	ქართული	15	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 3

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრულირ აოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ვებტექნოლ ოგიები (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგ იებში 0612	63	93	ქართუ ლი	60	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
2	კომპიუტერუ ლი ქსელი და სისტემები (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში 0612	90	120	ქართუ ლი	60	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10
3	იატაკისა და ფილის სამუშაოები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიუ ლი კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 0732	82	97	ქართუ ლი	20	ქ. თბილისი, ჭიჭინაძის ქ. №10

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

- აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120